ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №44

09.06.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032015345-03; 01.06.2020);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032015716-03; 05.06.2020);**

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032014860-03; 27.05.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ უფროსი.
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - საკითხების წარმომდგენებს ვთხოვ გაგვაცნონ დღის წესრიგით გათვალისწინებული პროექტები.

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო მოძრაობის ორგანიზების შემდგომი გაუმჯობესებისა და გზების სატრანსპორტო საშუალებებისგან განტვირთვის მიზნით, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“ შედის ცვლილებები და დგინდება ,,A“ კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის, აგრეთვე ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილის მანიშნებლები. ამავე დროს, სპეციალური პარკირების ადგილებად დამატებით ისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების მიზნით სატრანსპორტო საშუალების და ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავის პარკირებები და დგინდება მათი სპეციალური მანიშნებლები.

თ.ისაკაძე - დაინტერესდა რა წესი გავრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ, ე.წ. ,,სადისტრიბუციო მანქანებისთვის“ განკუთვნილ საპარკინგე ადგილებზე.

გ.ტყემალაძე - კარგია რომ ვეხმარებით ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს და იმედია სპეციალური საპარკინგე ადგილების მოწყობა ხელს არ შეუშლის მათ საქმიანობის განხორციელებაში.

შ. ოგბაიძე - მთავარია ამ ცვლილებების საფუძველზე, მოხდეს შესაბამისი რეაგირება და დაჯარიმდეს ყველა ის მძღოლი ვინც დაპარკინგდება არასწორ ადგილზე.

ვ.წილოსანი - წარმოდგენილი ცვლილებებით, სადისტრიბუციო მანქანებს ექნებათ შესაძლებლობა რომ პარკირების მიზნით გაჩერდნენ ყველგან. ამასთან, საქონლის მიწოდების დროს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ მათთვის სპეციალურად მოწყობილი საპარკინგე ადგილებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032015345-03; 01.06.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032015716-03; 05.06.2020).**

ვ.წილოსანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის №20.578.730 განკარგულების შესაბამისად.

განკარგულების პროექტით გათვალისწინებული რეორგანიზაცია განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმით (მიერთებით). რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში ჩაითვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული რეორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის სინქრონიზაცია/ჰარმონიზაცია. აღსანიშნავია, რომ ურბანული სამსახური ქალაქგეგმარების პოლიტიკას განსაზღვრავს, ქალაქგეგმარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სატრანსპორტო პოლიტიკაც. შესაბამისად, დღეს ამ ორი სამსახურის გაერთიანებით, ქალაქგეგმარების პოლიტიკა განხორციელდება კიდევ უფრო სინქრონულად და ეფექტიანად. გაჩნდება საშუალება ერთი სამსახურის ფარგლებში იქნას შემუშავებული ქალაქის განვითარების პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი კი ბევრად უფრო სწრაფი და მოქნილი გახდება.

თ.ისაკაძე - მნიშვნელოვანი ცვლილებაა. შეიქმნება ძლიერი სტრუქტურული ერთეული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032015716-03; 05.06.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032014860-03; 27.05.2020).

3.წილოსანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში, კერძოდ:

აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საერთაშორისო კომპანია Ramboll-ს შორის 2019 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის ბენეფიციარს წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, დასრულდა მონაცემების შეგროვების ეტაპი, რაც ქალაქის სრული სატრანსპორტო მოდელის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა. SUMP-ის კონსულტანტებმა მათ მიერ შემუშავებულ ტრანსპორტის მოდელში გამოიკვლიეს 3 ხიდი (პირობითად აღმოსავლეთის ხიდი, შუაში მდებარე და დასავლეთის ხიდები), რომელიც გათვალისწინებულია დოკუმენტში. საგზაო მოძრაობის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოდელირებამ აჩვენა, რომ დანართი 1-ში პირველ რუკაზე მოცემული სამი ხიდიდან აღმოსავლეთით მდებარე ხიდის აშენება არის ყველაზე მიზანშეწონილი, ხოლო შუაში მდებარე ხიდის აშენება არ არის რეკომენდირებული. რაც შეეხება ყველაზე დასავლეთით მდებარე ხიდს, მოდელირება აჩვენებს, რომ აღმოსავლეთის ხიდის მშენებლობა ზედმეტი დანახარჯი იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის.

ცვლილების საფუძველზე (რომელიც ხორციელდება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტის ფარგლებში ჩატარებული სატრანსპორტო ნაკადების მოდელირების შედეგების გათვალისწინებით), კორექტირდება დანართი 1.10-ით დამტკიცებული ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირების რუკა (პერსპექტიული ქალაქგეგმარებითი კარკასი) კერძოდ, აღნიშნული შეზღუდვის არეალში გრაფიკული ნაწილიდან ხდება დამფარავი ქალაქგეგმარებითი კარკასის ამოღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032014860-03; 27.05.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე